პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 9 აპრილი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი მხედარი

76 (1071)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 3—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ვემზადოთ პირველ მაისისათვის

რამოდენიმე კვირის შემდეგ ჩვენ უნდა გადავიხადოთ პირველი მაისის დღესასწაული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე პირველი მაისის დღესასწაული ტარდებოდა, მთელი მშრომელთა კლასის კომუნისტური პარტიის ირგვლივ დარაზმვის ნიშნის ქვეშ და მიმდინარე წლის პირველი მაისის დღესასწაულიც უნდა ჩატარდეს, საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის, მომავალ ომების მოსახდენათ, ბურჟუაზიის მზადების წინააღმდეგ, ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ. მაგრამ ერთ-ერთ მთავარ მომენტათ ამ დღესასწაულის ჩატარების დროს უნდა იქნეს აღნიშნული, ჩვენი კავშირის კულტურული და სამეურნეო აღმშენებლობა.

მთავარ ლოზუნგებათ ამ დარგში უნდა იქნეს: მომჭირნეობისათვის ბრძოლა, ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცება და სხვა.

ამ საკითხების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ, რომ მისი გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებს მშრომელთა ფართო მასები. ამიტომ კი პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარების დროს ჩვენ მიერ უნდა იქნეს ფართოდ გაშუქებული ყველა ეს საკითხები მშრომელთა ფართო მასების წინაშე.

ამასთანავე მთელი ეს დღესასწაული უნდა ატარებდეს არა მარტო სხვა და სხვა საკითხების გაშუქების ხასიათს, არამედ ამ დღესასწაულის ჩატარების დროს ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა მოვახდინოთ გაშინჯვა ჩვენი რკინისებური რიგების და დღესასწაულის ჩატარების შინაარსში ნათლად უნდა მოსჩანდეს გამარჯვებული პროლეტარიატის სულისკვეთება.

გარდა ამისა აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარებასთან ერთად ჩვენ მოგვიხდება სათანადო ყურადღებით მოვეპყრათ „აღდგომის“ დღესასწაულის შეფასებას. ამ მხრივ მეტი სიფრთხილით და ერთგვარი სიდინჯით უნდა იქნეს გატარებული ანტირელიგიური პროპაგანდა, ფართე მშრომელთა მასაში.

ჩვენ ამ თავითვე უნდა ვეცადოთ, რომ ამ „აღდგომის“ დღესასწაულმა არ მიიღოს მწვავე რელიგიური ხასიათი და ამასთანავე უნდა შევსძლოთ ამ საკითხების ისეთნაირად გაშუქება, რომელიც უფრო მეტად დააჯარებს მშრომელთა ფართო მასას „აღდგომის“ დღესასწაულის მიუღებლობაში. მაგრამ მთლიანად ამ დღესასწაულის ჩატარების დროს ჩვენ უნდა ვეცადოთ ნაკლები ხარჯების გაღებისათვის და რამდენადაც ჩვენ შევსძლებთ ამ საკითხის მოგვარებას, იმდენათაც ჩვენი დღესასწაული არ მიიღებს უბრალო გასართობი დღესასწაულის ხასიათს.

## „დამოუკიდებელი ტრანსიორდანია“ ინგლისის უღელ ქვეშ.

ჟურნალისტებთან საუბარში ტრანსიორდანიის ემირმა (მმართველი) აბდულამ განაცხადა, რომ, თუმცა ხმები ტრანსიორდანიის აღმოსავლეთ ნაწილის ტომთა ვახაბიტებზე შეერთების შესახებ სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ ვახაბიტების შემოჭრა ტრანსიორდანიაში არაა მოსალოდნელი.

აბდულამ უარყო ცნობა, თითქოს მას სურდეს უარი სთქვას ტახტზე.

დეკრეტმა არაბული ლეგიონის დაშლისა და მისი ჩერქეზთა რაზმებით შეცვლის შესახებ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არაბი ჯარისკაცები უარს ამბობენ იარაღის ჩაბარებაზე.

ტრანსიორდანია წარმოადგენს გარეგნულად დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ის შექმნა ინგლისმა პალესტინიდან გამოყოფით. 1921 წლის მარტში ტრანსიორდანია გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელ საემიროთ (სამთავროდ), მხოლოდ ემირად გამოცხადებულ იქნა გეჯასის მეფის ჰუსეინის შვილი აბდულა. ფორმალურად ემირი განაგებს ქვეყანას მინისტრთა საბჭოს და სათათბირო კრების საშუალებით. ტრანსიორდანიის სახელმწიფოს დაარსება გამოწვეულ იქნა შემდეგი მიზეზებით: არაბთა სახელმწიფოს შექმნით პალესტინა—ტრანსიორდანიის ნაწილიდან ინგლისი სცდილობდა შეერიგებია არაბები თვით პალესტინაში „ებრაელთა კერის“ შექმნის გეგმასთან. ამასთან ტრანსიორდანიის—არაბთა სახელმწიფოს დაარსებით ინგლისს საშვალება ეძლეოდა ელაპარაკა ხსენებულ სახელმწიფოს დახმარების შესახებ არაბთა დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე. მაგრამ არაბთა მოსახლეობა სრულებით ვერ დააკმაყოფილა ხრიოკ ტრანსიორდანიისაგან არაბთა სახელმწიფოს, ხოლო თვით პალესტინაში კი—„ებრაელთა კერის“ შექმნამ. მეორე მხრივ ერთობ აშკარა იყო „დამოუკიდებელ საემიროს“ კომედია. სინამდვილეში ტრანსიორდანიის პატრონს წარმოადგენს ინგლისის წარმომადგენელი, რომელიც იმყოფება ემირ აბდულასთან დამხმორჩილება ინგლისის უზენაეს კომისარს პალესტინაში.

1924 წლის მაისამდი ემირი აბდულა ღებულობდა ინგლისის მთავრობისაგან სუბსიდიას (დახმარებას) 150,000 გირვანქა სტერლინგს.

ემირ აბდულას სამხედრო ძალა შესდგება 1,200 ჯარისკაცისაგან, რომელსაც ეწოდება „არაბული ლეგიონი“ და რომელიც იმყოფება ინგლისის ოფიცრის სარდლობის ქვეშ. უკანასკნელ დროს აშკარა ხდება ინგლისის ზრახვები დაიმორჩილოს ტრანსიორდანია ყოველ მხრივ და მოსპოს „დამოუკიდებელი“ საემირო.

## ახალი რადიო ამბები

### ებრაელ ემიგრანტთა გაჭირვება პალესტინაში.

პალესტინაში გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდიან ებრაელი ემიგრანტები (გადასახლებულები). სიონისტურ ორგანიზაციას არ აქვს საშუალება მისცეს მომსვლელთ სამუშაო და უზრუნველყოს ისინი საჭირო დახმარებით.

### ინგლისის დამოუკიდ. მუშათა პარტიის კონფერენცია.

ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც სხვათა შორის მოითხოვს: საბჭოთა კავშირთან სრული ურთიერთობის აღდგენას, ინგლისის ჯარების გაყვანას ეგვიპტიდან და ირაქიდან, რეპრესიების (სასტიკი ზომების, დევნის) შეწყვეტას ინდოეთში.

რეზოლიუცია მხარს უჭერს აგრეთვე მაღაროს მუშების დახმარების საკითხს.

### დევნიან ჩვენზე სიმართლის თქმისათვის.

გერმანიაში გრძელდება სასტიკი ზომები საბჭოთა კავშირში ნამყოფ გერმანიის დელეგაციის წევრთა წინააღმდეგ.

„ფორვერტსმა“ გამოაქვეყნა ცნობა დელეგაციის წევრ გერმანელების სოციალ დემოკრატიული პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

### შეუთანხმებლები ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ.

პრაგის სოციალ დემოკრატულ ორგანიზაციის პარტიულ აქტივის კრებაზე პარტიის ლიდერებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ გაეყვანათ ყრილობის რეზოლიუცია კომუნისტებთან ერთიანგამოსვლების დაუშვებლობის შესახებ.

მთელი რიგი მუშა-ორატორებისა მოითხოვდა ამ რეზოლიუციის შეცვლას და მოუწოდებდა კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ.

### მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში.

მთავრობის კრიზისი სამხრეთ სლავიაში გამოწვეულია რამოდენიმე მიზეზით. ეს მიზეზები გამოიხატება სხვა და სხვა პარტიებისა და ჯგუფების ბრძოლაში ერთმანეთის წინააღმდეგ.

### კრიზისი ჩეხო-სლოვაკიის ქვანახშირის მრეწველობაში.

ჩეხო-სლოვაკიის ქვანახშირის მრეწველობის საქმე რთულდება. რამოდენიმე ქვანახშირის რაიონებში დაგროვებულია იმდენი მარაგი, რომ მისი ნაწილიც კი ვერ პოულობს ბაზარს.

ამის გამო მოსალოდნელია მუშათა საგრძნობლად შემცირება.

### იტალიის გაზეთი ჩიჩერინის საუბრის შესახებ

ჩიჩერინის საუბრის გამო იტალიის ერთი გაზეთი სწერს: „ჩიჩერინის განცხადება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი ინგლისის წინააღმდეგ განახლებულ ბრძოლაში ფიქრობს იყოლიოს მოკავშირედ გერმანია და სცდილობს გამოჰგლიჯოს ის ევროპის გავლენას. ეს განცხადება გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ჟენევის კონფერენციის დამარცხების შემდეგ საბჭოთა მთავრობა ემზადება შეერთებულ შტატებთან საქიშპოდ; ამით მას სურს მიიზიდოს აზიის ხალხები, უმთავრესად ჩინეთი, სადაც ამერიკას სურს, იაპონიასთან საქიშპოდ, შეიჭრას და გააძლიეროს თავისი ეკონომიკა და პოლიტიკა.

ამრიგად—ამბობს გაზეთი დასასრულ—ჩვენ მოწამენი ვართ საბჭოთა მთავრობის გადამჭრელი გამოსვლისა ინგლის—საქსონიის შეერთებული ფრონტის წინააღმდეგ“.

### იტალიის გაზეთები სსრკ-სა და განიარაღების შესახებ

იტალიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საკითხს საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ განიარაღების კონფერენციაში.

ერთ-ერთი გაზეთი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დაუსწრებლობა სადაოდ ხდის ხელშეკრულების შესაძლებლობას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთის, რუმინეთისა და იაპონიის განიარაღების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული მათ უახლოეს მეზობელ—საბჭოთა კავშირის შეიარაღებასთან.

დასასრულ გაზეთი გამოსთქვამს იმედს, რომ დიპლომატია კომისიის მოწვევამდის შესძლებს დადებითად გადასჭრას საკითხი საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ კომისიაში.

### „ეწინააღმდეგება ლოკარნოს სულს“

ხავილის სააგენტო იტყობინება, რომ რეიხსტაგში სესხის გარანტიის გარჩევის დროს საბჭოთა კავშირში გასაზიდ საქონლისთვის, ინგლისის ელჩმა ბერლინში ლორდ-დ, ამერლონმა განუცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ გერმანიის განზრახვა მისცეს სესხი საბჭოთა კავშირს—აკვირვებს ინგლისს, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ლოკარნოს სულს.

### მუსოლინის მოკვლის განზრახვა.

7 აპრილს ვიღაც უცნობ ხანში შესულ ქალმა კაპიტოლიის მოედანზე (იტალიაში) ესროლა მუსოლინს (იტალიის პრემიერ მინისტრი, ფაშისტების ბელადი) რევოლვერი. ტყვიამ მსუბუქად დასჭრა მუსოლინი ცხვირში.

ქალი, რომელმაც მუსოლინს ესროლა, მოათავსეს ციხეში. დაკითხვის დროს აღმოჩნდა, რომ ის ყოფილა ინგლისის ქვეშევრდომი ქალი ვიოლეტა ალბინა გიბსონი.

## საბჭოთა კავშირში

### უბედური შემთხვევა.

ივანოვო—ვოზნესენსკის ერთ ფაბრიკაში მოხდა უბედური შემთხვევა. საბეჭდი მანქანის დაზეთვის დროს მანქანამ ჩაითრია მუშა, რომელიც გადასჭრა შუაზე. თავი, ხელები და მკერდის ზედა ნაწილი სავსებით მოკვეთილ იქნა სხეულის დანარჩენი ნაწილისაგან.

სწარმოებს გამოძიება.

### ინვალიდთა კოოპერაციის სრულიად რუსეთის გაერთიანება

გაიხსნა სრულიად რუსეთის ინვალიდთა კოოპერაციის მესამე კრება. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ ინვალიდთა ყველა გაერთიანებულ ამხანაგობათა საერთო ტრიალი გასული წლის განმავლობაში უდრიდა 200 მილიონ მანეთს.

# ᲘᲥ ᲓᲐ ᲐᲥ.

იქ, ევროპაში, საფრანგეთის დედა-ქალაქ პარიზში
შეიკრიბნენ ოქტომბრის მიერ გაძევებულნი, მოქალაქეობრივ უფლება აყრილნი,
რუსეთის თეთრგვარდიელნი.
შეიკრიბნენ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ
მოიგონონ ძველი, კეთილი ცხოვრება მეფის მფარველობის ქვეშ,
მოიგონონ დაკარგული დიდება, ქონება, მიწები, ტყეები
და
„მონა-მორჩილი გლეხობა";
მოიგონონ ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეული
ფაბრიკა-ქარხნები, ძვირფასი მადნები.
შეიკრიბებიან და ფეხზე ადგომით
პატივსა სცემენ
მირონცხებული მეფის
ხსოვნა-მოგონებას.
თვალებში ცრემლი მოადგებათ, მძიმეთ ამოიოხრებენ
და
მერე შეუდგებიან ბჭობას იმაზე,
თუ როგორ, რა გზით „გაათავისუფლონ
მრავალ ტანჯული რუსეთის ხალხი"
„უწმინდურ" ბოლშევიკებისგან.
ბევრს იმსჯელებენ, იქნება დიდი შეხლა-შემოხლა,
აზრთა გაცვლა-გამოცვლა,
გეგმები, მოწოდებები,
როლების განაწილება, კომისიების არჩევნები
და მერე დაიშლებიან იმედით,
რომ ოდესმე მათ ეღირსებათ ხილვა
მეფის ტახტის და დაბრუნება ძველი დიდების.
და მაშინ, როდესაც იქ ბჭობენ თეთრგვარდიელნი,
აქ მძლავრი გაქანებით მიდის ცხოვრება
მზიურ ქვეყნისკენ,
აქ მუშა და გლეხი მძლავრი კუნთებით,
შეუდრეკელი ნების-ყოფით აგებენ მომავლის
ლამაზ ქვეყანას.
იქ იმედი მონობის კვლავ დაბრუნებისა,
აქ იმედი მონობის მოსპობის
კიდით-კიდემდე, ყველგან, სადაც კი არის მონა.
იქ ტირილი და გოდება დიდების დაკარგვის გამო,
აქ მხიარული ყიჟინი,
ქარხნის გუგუნი,
მიწის მუშის ჰოროველა
და
იმედი დიადი მომავლის.
ილაპარაკეთ, დააწყვეთ გეგმები, იქონიეთ იმედი,
მაგრამ იცოდეთ, რომ ეგ თქვენი „მოქმედება"
აქ
სიცილსაც არ ჰყოფნის მათ, ვინც თქვენ
საუკუნოდ გაგაძევათ შრომის ქვეყნიდან.
იცოდეთ, რომ თქვენი ხსოვნა წაიშალა
სამუდამოთ
იმ ხალხში, რომელიც ოდესღაც იყო თქვენი
მონა.

ე. ხუციშვილი.

# ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲡᲣᲠᲡᲐᲗ-ᲡᲐᲜᲝᲕᲐᲒᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲩᲐᲛᲑᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ.

რაში გამოიხატება უარყოფითი მხარეები კერძო მოიჯარადრის ყოლისა ერთეულში?

1) კერძო მოიჯარადრე ამზადებს პროდუქტს ჯარის ნაწილიდან წინადღით მიღებულ ავანსებით, ე. ი. იგივე მწარმოებელ გლეხის ფულით—დაბალ ფასებში, შემდეგ აყიდვინებს ერთეულს და ამით თითქმის ყვლეფს უშუალო მწარმოებელსაც (გლეხს) და მყიდველსაც (ნაწილს); 2) იყო ხშირი შემთხვევები, როდესაც მოიჯარადრენი იღებდენ, ან კიდევ ფლანგავდენ ფულს თავიანთი საჭიროებისთვის; 3) მოიჯარადრეები მიღებულ სახალხო ფულით წინათ ძლიერ მეტოქეობას უწევდენ ახლად აღორძინებულ კოოპერაციას და თავის გაიძვერობით უარყოფით გავლენას ახდენდენ მშრომელთა წამოწყებებზე ე. ი. ხელს უშლიდნენ კოოპერატიულ იდეების გავრცელებას, განსაკუთრებით სოფლებში, ვითომდა კოოპერაციას არა აქვს შნო მუშაობისა და სხვა; 4) კერძო მოიჯარადრეების მიერ ჩაბარებული საქონელი ხშირად დაბალი თვისებისაა, რის გამო წითელ არმიელი ღებულობს უფრო ცუდ სანოვაგეს და საზაზინო ცხენებიც ბაზრისთვის გასასყიდათ უვარგის თივას.

საერთოდ, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველივე კავშირის დაჭერა კერძო პირთან პროდუქტების ჩაბარებაზე ამაგრებს კერძო კაპიტალის მდგომარეობას შინაურ ბაზარზე და აფერხებს კოოპერაციის განვითარებას საერთოდ.

შეგვიძლია თუ არა მოვაწყოთ მომარაგება კერძო პირების გარეშე? ამ საკითხზე შეიძლება დარწმუნებით ვსთქვათ: „დიაღ შეგვიძლია". ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია მოუაროთ ჩვენს თავს კერძო პირების დაუხმარებლივ, რამდენათაც ჩვენმა ბაზარმა უკვე გადაიტანა კრიზისი, როგორც ფაბრიკა-ქარხნის საქონლის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების სიმცირის მხრივ.

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას, რამდენათაც იგინი დადგენ მკვიდრ ნიადაგზე და თანდათანობით ხელთ იგდეს მთელი ბაზარი შეუძლიათ დიდის წარმატებით მოემსახურონ ჩვენს წითელ არმიას და მიაწოდონ ის, რაც მას ესაჭიროება.

თუ რომ მხედველობაში მივიღებთ ეკონომიურად, პოლიტიკურად და მორალურად, როგორც დადებით, აგრეთვე უარყოფით მხარეებს, მოიჯარადრეების საშუალებით პროდუქტების დამზადებისას, შეგვიძლიან დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ დიდ საჭიროებას არ მოითხოვს მიმართვა კერძო მოიჯარადრეებისადმი.

ამიტომ ჩვენმა ჯარის ნაწილებმა უნდა თავი დააღწიონ კერძო მოიჯარადრეების სამსახურს და უნდა დაიჭირონ კავშირი მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კოოპერატივებთან. თვითეულ ერთეულის მეთაურს და სამხეო მუშაკს უნდა ახსოვდეს ეს, რისთვისაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაწყვიტოს კავშირი კერძო მოიჯარადრესთან და ყოველნაირად ხელი შეუწყოს კოოპერაციის და სახელმწიფო ორგანოების განვითარებას, კერძო სავაჭრო კაპიტალის დასამარცხებლად.

თავის ყოველდღიურ მუშაობაში ერთეულის მეთაური და სამხეო მუშაკს ხელს უნდა უწყობდეს კოოპერატიულ იდეების განვითარებას წითელ არმიელთა მასაში და თავიანთი მუშაობით ამის მაგალითი უნდა აჩვენონ მათ.

ნ. შანშიაშვილი.

# ᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ-ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ.

ყოველ სამხედრო მოქმედების დროს, დამოუკიდებლათ იმისა, თუ რა ძალის ჯარებისაგან ხდება ეს, ყველა უფროსი ვალდებულია შეისწავლოს ის მდგომარეობა, რომელშიდაც მას მოუხდება ამა თუ იმ საბრძოლო ამოცანის შესრულება. ერთ უმთავრეს ნაწილს ანუ ელემენტს მდგომარეობისას წარმოადგენს ადგილ-მდებარეობა.

ადგილ-მდებარეობა ეწოდება დედამიწის ზედაპირს, ყველა იმ ბუნებრივ და ხელოვნურ საგნებით, რომელიც ზედ არის. ადგილმდებარეობის ხასიათს თავისი ადგილობრივი საგნებით აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჯარების მოქმედებაზე; ჩვენ ვიცით რომ დედამიწის ზედაპირი არ არის ერთგვარი; წარმოვიდგინოთ, რომ ბრძოლა სწარმოებს სრულიად გაშლილ და სწორ ადგილზე; ამ შემთხვევაში ადგილ მდებარეობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა ბრძოლის მსვლელობაზე, რადგან მოწინაალმდეგე მხარეები იქნებიან ერთგვარ პირობებში, ადგილ მდებარეობის მხრით.

წარმოვიდგინოთ ბრძოლის უბანზე მაღლობი; აქ ცხადია რომ მოწინაალმდეგე მხარეების ცდა იქნება ეს მაღლობი ჩაიგდოს, რადგანაც მაღლობზე შენიღბვა უფრო ადვილია, ვიდრე სწორ ადგილზე; აქ მხედველობის სივრცე უფრო დიდია და მტრის დაზიანება ცეცხლით ადვილია.

ამისთვის ადგილ მდებარეობის (როგორც ერთ მნიშვნელოვან საბრძოლო ელემენტის) შესწავლა აუცილებელია.

ადგილ მდებარეობის შესწავლის საშვალებები შემდეგია:

1) პირადი დათვალიერება
2) აღწერა და მოყოლა (ადგილობრივ მცხ. მიერ)
3) რუქები, გეგმები, ფოტოგრაფ. სურათები.

ყველა ზემო ჩამოთვლილ საშვალებებიდან უპირატესობა ეძლევა, რუქებს და გეგმებს, რადგან ამ საშვალებით შეიძლება სწრაფათ და დამოუკიდებლათ ყოველ მიზეზებისა გაეცნოთ ადგილ მდებარეობას, მხოლოთ ამ საშვალების გამოსაყენებლათ საჭიროა, რუქების კითხვის და აგეგმვის ცოდნა.

პირადი დათვალიერება—თხოულობს ბევრ დროს. მტერი შეეცდება არ მოგცეს დათვალიერების საშუალება; აგრეთვე ხელს უშლის ამინდი, დრო და სხვა.

აღწერა ადგილ-მდებარეობის აღწერა შეუძლია იმ პირს, რომელიც იცნობს ამა თუ იმ ადგილს.

აღწერა და დათვალიერება უნდა ჩაითვალოს, როგორც დამხმარე საშვალებები, რუქებთან და გეგმებთან, რადგან უკანასკნელი შეიძლება იქნენ დაძველებულნი და ზოგიერთი ადგილობრივი საგნები არ იქნენ რუქაზე შეტანილი, ან რუქაზე იქნენ და სინამდვილეში კი არა.

როგორც მაგ. რუქაზე არის ტყე, სინამდვილეში კი ტყე აჩეხილია, ადგილზე არის სოფელი ან ხიდი ახლათ აშენებული, რუქა კი როცა იხატებოდა მაშინ ასეთები არ იყო და სხვა.

ვ. შოთაძე.

# ᲡᲡᲠᲙ-Ს ᲪᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ათ აპრილს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე მიწვევის მეორე სესია. ცაკის წევრები და კანდიდატები უკვე დღითი—დღე იყრიან თავს.

# ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲒᲖᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

რკინისგზელთა ცეკას პრეზიდიუმმა გაანაწილა საბჭოთა კავშირის გზებს შორის 17 მილიონი მანეთი რკინისგზელთა საბინაო აღმშენებლობისათვის.

ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ"

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐ.

როგორც ვიცით, საბჭოთა მთავრობამ ამ დღეებში დაამტკიცა მრეწველობის საწარმოო გეგმა 1925-26 წლისთვის, რომლის თანახმად მრეწველობამ 1 წლის განმავლობაში უნდა გამუშვას ბაზარზე 5.050 მილიონი მანეთის საქონელი.

ეს გეგმა შეკვეცილია იმასთან შედარებით, რომელიც ამ წლის დასაწყისში დასახული ჰქონდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა კარგი მოსავალი და მისი განაღდება. ასე რომ, დასაწყისში, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დასახული ჰქონდა მოსავლის დამუშავების გადიდება 50 პრ.-თ 1925-26 წელთან შედარებით, ხოლო ბაზარზე გადიდება 51 პრ.-თ, ე. ი. 5.350 მილიონ მანეთამდი.

50 პროცენტით გადიდებულ გეგმასთან შეფარდებით მრეწველობამ გაადიდა მუშათა რიცხვი თითქმის 300.000 კაცით, ე. ი. მუშათა მთელი რაოდენობა აყვანილ იქნა 1 მილიონ 650 ათას კაცამდი.

მრეწველობის პირველი კვარტალი, ე. ი. ოქტომბერ-დეკემბრის ანგარიშები გვიჩვენებენ, რომ მრეწველობის დარგთა უმეტესობა მართლაც მუშაობდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ამ გაფართოებულ პროგრამის საზღვრებში. მაგრამ დანაკლისმა მოსავლისა და, მაშასადამე, მისი განაღდების საქმეში, რომელმაც გამოიწვია თავის მხრივ გატანისა და შემოტანის შეკვეცა, შეუქმნეს მრეწველობას ნაკლებ ხელსაყრელი პირობები განვითარებისთვის. ამიტომ ჩვენ მოგვიხდა გადაგვესინჯა საწარმოო პროგრამები და არსებულ ნედლი მასალის რაოდენობასთან, სათბობ მასალასა და მოწყობილობასთან შეფარდებით, შეფარდებით კაპიტალის იმ ჯამთან, რომელიც შეეძლო მიეცა სახელმწიფოს მრეწველობისთვის სახალხო მეურნეობაზე ზიანის მიუყენებლად და შევკვეცეთ ეს პროგრამა.

ამრიგად 1.100 ახალ მილიონების მაგივრად მრეწველობას ეძლევა 800 მილიონი მანეთი, ე. ი. 300 მილიონი მანეთით ნაკლები; იკვეცება ნედლი მასალის მარაგი, იკვეცება ახალი ფაბრიკების აღმშენებლობა და ამჟამად მომქმედ ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობის გაძლიერება; ყოველივე ამის შედეგად ბაზარზე საქონლის გამოშვება მცირდება 300 მილიონი ჩერვონული მანეთით.

საწარმოო პროგრამის შეკვეცას, სადაც მოგვიხდა ჩვენ დაგვეწია ბევრ დარგში უკვე მიღწეული დონე, ცხადია, გავლენა უნდა მოეხდინა მუშათა რაოდენობაზეც შემცირების სახით. როცა წლის დასაწყისში სამეურნეო მუშაკებს გათვალისწინებული ჰქონდათ მრეწველობის მუშაობის გადიდება 50 პროცენტით, საჭირო იყო მუშების ერთი რაოდენობა; მაგრამ როცა პროგრამა შეკვეცის შემდეგ ითვალისწინებს მრეწველობის მუშაობის გადიდებას მხოლოდ 40 პროცენტით, ცხადია მუშათა ერთი ნაწილი უკვე ზედმეტია.

ჩვეულებრივ საზაფხულო შეჩერებებზე მუშათა შემცირება მთელ მრეწველობაში უნდა შეეხოს 70.130 კაცს, ე. ი. 4 პროც.-ს. ხოლო მრეწველობის იმ ნაწილში, რომლის პროგრამა შეკვეცილია, შემცირებულ უნდა იქნას მუშათა 12 პროცენტი.

ავიღოთ მაგალითისთვის თუნდაც ბამბეულობისა და ტილოულობის მრეწველობა. ამ მრეწველობას თავდაპირველად გათვალისწინებული ჰქონდა—დამუშავებულ იქნებოდა 18 მილიონი ფუთი ბამბა; ეს იმიტომ, რომ იმედი გვქონდა მოვიღოდა საკუთარი მოსავალი—11 მილიონ ნახევარ ფუთამდი საკუთარი ბამბა და საზღვარგარეთიდან შემოვიტანდით დაახლოებით 6 ნახ. მილიონ ფუთამდი. მაგრამ ჩვენი საკუთარი მოსავალი ნაკლები გამოვიდა დაახლოებით 1 ნახ. მილიონი ფუთით, მაშასადამე საზღვარგარეთიდან შემოტანაც, საერთოდ გატანის შეკვეცასა და სავალიუტო სიძნელეებთან დაკავშირებით უნდა შემცირდეს. შედეგად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დავამუშავებთ მხოლოდ 14 ნახ. მილიონ ფუთს, ან და დიდი-დიდი—15 მილიონს.

ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა დარგებშიაც. ამრიგად მთავრობის წინაშე იდგა ამოცანა: ან უნდა დათხოვილიყო 700 ათასზე მეტი მუშა, ანდა ასეთი მასიური დათხოვა არ მომხდარიყო, არამედ გამოგვეძებნა რაიმე სხვა გზა. და მთავრობამ შემდეგი გადასწყვიტა: მუშების მასიური დათხოვა არ უნდა მოხდეს, არამედ 1) გაგრძელებულ იქნას ქარხნების შეჩერება, რათა გვეყოს ნედლი მასალის, სათბობი მასალის რაოდენობა და სხვა, რამდენიც ჩვენ გვექნება; 2) სპეციალურად საქსოვ მრეწველობაში გადიდებულ იქნას დამუშავება იმ ქსოვილების, რომლებიც მოითხოვენ ნედლი მასალის ნაკლებ რაოდენობას (ე. ი. დამუშავებულ უნდა იქნას იაფი ქსოვილები) და ამით იძლევიან საშუალებას გაგრძელებულ იქნას წარმოება მეტი ხანგრძლივი ვადით—ამ საქმეზე არსებულ მუშათა რაოდენობის გამოყენებით.

ფეიქართა კავშირის ცენტრალურ კომიტეტმა, და აგრეთვე სამეურნეო მუშაკებმა და მუშებმა ადგილებში, უკვე გამოსთქვეს თავიანთი თანხმობა საფეიქრო ქარხნების საგაზაფხულო შეჩერების შესახებ. ამრიგად საგაზაფხულო, ხოლო შემდეგ ფაბრიკების რამოდენიმე გაგრძელებული შეჩერება (შვებულების ჩათვლით) საშუალებას მოგვცემს უმტკივნეულოდ მოვაშუშოთ ნედლი მასალის კრიზისის სიმწვავე ისე, რომ არ იქნას დათხოვნილი მუშების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ფ. ხ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენც ვემზადებით საბანაკოთ.

მე 2 ლეგიონი.

ლეგიონი კარგა ხანია შეუდგა ბანაკში გასვლისათვის შესაფერ სამზადისს. გამოყოფილი იქნა წინასწარ ერთი ნაწილი, რომელსაც დაევალა საბანაკო ადგილზე აქედანვე მუშაობის წარმოება და ბანაკის მოწყობა ლეგიონისათვის. ეს ნაწილი ამ დღეებში უკვე გაემგზავრება თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

მეორე მხრივ ლეგიონი საზამთრო ყაზარმებში ეწევა მუშაობას. გათვალისწინებულია ყველა შემთხვევები საბანაკო ცხოვრების და შესაფერი სამზადისი სწარმოებს მათთვის მომზადებულად შეხვედრისათვის. როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და საგანმანათლებლო მუშაობა აქედანვე ეხამება ბანაკობას. ყველამ იცის რა ევალება ბანაკში და როგორ უნდა იმუშაოს.

მომავალი ბანაკობა გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენთვის, ვინემ გასული წლის. ამის იმედები და ნიშნები საკმაოდ არის.

სამხკორი შიო აზიკურიშვ.

## ალე კარგად მომზადებული წითელ არმიელები გვეყოლება.

1-ლი ცხ.ლეგიონის სკოლა.

ნაწილში მეტად გაძლიერდა ამ უკანასკნელად წრეების მუშაობა. წითელ არმიელები დიდ გულმოდგინეობასა და სიყვარულისეს იჩენენ მეცადინეობაში. ჩვენი ლენინის კუთხე წრეების მუდმივი თავშესაყარი ადგილია. აქ უამრავი ლიტერატურა მოგვეპოვება, რომელსაც დიდი მონდომებით ეწაფებიან წითელ არმიელები. თვით კუთხის გამგეობა კი სისტემატიურად ატარებს საუბრებს და ხმა მაღალ კითხვას გაზეთებიდან —და წითელ არმიელებთან ერთად ირჩევა სხვა და სხვა საერთაშორისო მოვლენები, უცხო სიტყვები და ირკვევა გაუგებარი აზრები.

თუ ასე გაგრძელდა სკოლაში მუშაობა მალე საუკეთესოდ მომზადებული წითელ არმიელები გვეყოლება.

სამხკორი საქარელი.

## კავშირი ცვალებადელებთან.

მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.

ჩვენს ასეულს კარგი კავშირი აქვს თავის ცვალებადელებთან, რომელნიც ამ ჟამად ენერგიულად მუშაობენ თავიანთ სოფლებში და გულმოდგინეთ ასრულებენ ასეულის ყველა დავალებებს. დიდ ენერგიას იჩენენ ამხანაგები სამაზრო ადმშენებლობის საქმეში. მათი შემწეობით ბევრი რამ საყურადღებო გაკეთდა. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევენ ისინი სოფლის გლეხობას. ყველა საეჭვო და გაუგებარი საკითხების შესახებ მოდიან ასეულში და იღებენ სათანადო ახსნა განმარტებას ნაწილის უფ-პოლიტშემადგენლობისაგან.

ასეულის ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი ცვალებადელების მუშაობა თანდათან ღრმავდება სოფლად, რაც დიდ ნაყოფს მოუტანს ჩვენს აღმშენებლობას.

სამხკორი ა. იმერელი.

## სამკითხველო გვაკმაყოფილებს.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონის ბიბლიოთეკა—სამკითხველოში ამჟამად მოიპოება ყოველგვარი წიგნები. შეძენილი იქნა საჭირო სახელმძღვანელო ლიტერატურაც, რასაც ვიყენებთ მეცადინეობის დროს. მოგვდის ყველა ქართული ჟურნალ გაზეთები, მოგვდის რუსულიც. მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდება. სამკითხველოს ხელმძღვანელები ენერგიულად მუშაობენ წითელ არმიელთა ფართო მასის მიზიდვის საქმეში, რისთვისაც ისინი აწარმოებენ ზეპირ და სხვა სახის აგიტაციას.

ლეგ. სამხედრო კომისარიც დიდ დახმარებას უწევს სამკითხველოს.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ასეული გამოცოცხლდა.

მე-2 ლეგ. მე-9 ასეული

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა ჩვენი ასეული. მეცადინეობის ყველა დარგებში გაცხოველებული მუშაობაა. ხშირად ტარდება საუბრები სხვადასხვა საკითხებზე. იმართება ლენკუთხეში მოხსენებები, ხმა მაღალი კითხვა და სხვა. წითელ არმიელებს ეძლევათ სხვა და სხვა თემები მოხსენებისათვის. იმართება შემდეგ კამათი და ასე იწვრთნებიან. ვავარჯიშებენ აგრეთვე რეზოლიუციების და განცხადებების შედგენაში.

წ. არმ. სვანიშვილი.

## სამხედრო წრის მუშაობა.

ქალაქ ცაგერში.

(ლეჩხუმის მაზრა).

ორი კვირა იქნება რაც ქალაქ ცაგერში ჩამოყალიბდა სამხედრო წრე. წრეში ორჯერ სწარმოებს კვირაში მეცადინეობა, ორ-ორი საათი სამშაბათობით და კვირაობით. მეცადინეობა დანიშნულ დღეებში სისტემატიურად მიმდინარეობს. მეცადინეობა სწარმოებს შაშხანაზე, ყუმბარა 14 წლის ნიმუშისა, სროლის საქმე, შინა სამსახურის წესდება, საგარნიზონო წესდება, საველე წესდება, სასანგრე საქმე, სამხედრო ქიმია და ტყვიამფრქვევ „მაქსიმის“ შესწავლა.

სამხედრო წრეში თითქმის ახალგაზრდობაა, რომლებიც ძალიან დაინტერესებული არიან სამხედრო საქმის გაცნობით. არა აქვს ადგილი წრის შემადგენლობის პასიურობას.

მხოლოდ დროებით ცოტათი შენელდა წრის შემადგენლობა, რადგანაც ჩვენი წრე თითქმის შესდგება მოწაფე ახალგაზრდობიდან, რომლებიც მოკლე ხნით იქნენ დათხოვნილი თავ-თავიანთ სახლებში. მიუხედავად იმისა, უმრავლესობა რჩებიან, რომ არ ჩამორჩენ წრის მეცადინეობას. ასეთი აქტიურ ამხანაგებთან მუშაობით მალე მივაღწევთ დასახულ მიზნებს.

სამხკორი გელენიძე.

## სამხედრო საქმეს წარმატებით გავდივართ.

მე-4 ლეგ. ტყვიამფრქვევი ასეული.

ასეულში გაძლიერებულად სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა. ტყვიამფრქვევი უკვე შესწავლილი გვაქვს სრულიად. ხშირად გავდივართ სასროლო მოედანზე და ვვარჯიშობთ, ვეჩვევით, ვიწვრთნებით სროლაში.

არა ნაკლები ყურადღება ექცევა პოლიტიკური და კულტურულ განმანათლებელ მუშაობას, რაშიდაც დიდ ენერგიულობას იჩენენ წითელარმიელები.

წ. არმ. მ. ალადაშვილი.

## ექსკურსია ჭიათურის შავი ქვის მაღაროებში.

მე-4 ლეგიონის მე 5 ასეული.

31 მარტს ასეულის წითელ არმიელები და უფ-პოლიტშემადგენლობა გავემგზავრეთ მაღაროების დასათვალიერებლათ. პირველად დაუახლოვდით „კარუტოს“ ფირმას და რკინისგზის ლიანდაგს ზევით მაღაროდან გადმოდიოდა დატვირთული შავი ქვით რონოდები ჯაჭვის საშვალებით. რონოდებზე მუშაობდა რამოდენიმე ჩვენი ცვალებად წითელ არმიელები, რომლებსაც ძლიერ გაეხარდათ ჩვენი მისვლა.

ამის შემდეგ გავეშურეთ თვით ქარხნის დასათვალიერებლათ. ერთმა მუშათაგანმა გაგვიძღვა და შეგვიყვანა ქარხანაში, სადაც მუშაობდა მრავალი მანქანები შავი ქვის გასარეცხათ. თვით ქარხანა დაყოფილია სამ სართულათ, თითეული სართულში მუშაობს რამოდენიმე ათეული მუშები. ამხანაგებმა გაგვაცნეს თუ როგორ ირეცხება შავი ქვა და გარეცხის შემდეგ რამდენ ხარისხათ იყოფა.

შემდეგ გავემგზავრეთ თვით მთავარი მაღაროების დასათვალიერებლათ, საიდანაც გამოაქვთ მადანი რონოდებით სამი-ოთხი ვერსის მანძილიდან. თვით „კარუტოს“ ფირმას აქვს ორი მთავარი მაღარო. თითეულ მაღაროში მუშაობს 300 მუშა. დიდათ დაინტერეს წითელი არმიელები მაღაროს ორთქმავლის ნახვამ. ორთქმავალი არის პატარა და მიაქვს 24 რონოდა, თითეულ რონოდაში ჩადის 50 ფუთი შავი ქვა.

ყველა ჩვენგანს აინტერესებდა პატარა ორთქმავლის ამოძრავება. ორთქმავალიც ამოძრავდა და ჩვენც გამოვემგზავრეთ ასეულში.

სამხკორი ა. ხიტირია.

## სტუმრად ტყავტრესტის მუშებთან.

მე 2 საკავშირო ასეული.

ასეულის კომუჯრედს წინასწარ ჰქონდა განზრახული წაეყვანა ასეული სხვა და სხვა დაწესებულებების დასათვალიერებლად. პირველად ექსკურსია მოეწყო 27 მარტს ტყავტრესტისა და ზეთის სახდელ ქარხანაში. გამოყოფილი იქნენ წინასწარ ორი ამხანაგი და გაიგზავნენ ქარხანაში. სრულ 8 საათზე ასეულის მთელი შემადგენლობა უკვე ქარხანაში ვიყავით და მუშების შემწეობით ვეცნობოდით ყველა მის განყოფილებებს. წითელ არმიელები მრავალ საინტერესო შეკითხვებს აძლევდენ ხელმძღვანელს ქარხნის ნაყოფიერების, პროდუქტების ხარისხისა და სამუშაო ხელფასის შესახებ.

ტყავ-ტრესტის წარმოებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

ამის შემდეგ გავეშურეთ მეორე—ზეთის სახდელ ქარხანაში. აქ დაწვრილებით გავეცანით, თუ როგორ სუფთავდება ბამბის კურკა, როგორ გამოყავთ მისგან ზეთი. აქვე ვინახულეთ სარეცხი და ხელის საპნის ქარხანა, გავეცანით მათი დამზადების წესებს. ყველა შეკითხვებზე გულდასმით გვიპასუხებდენ მუშები.

მადლობის ღირსია ტყავ-ტრესტისა და აღნიშნული ქარხნების დირექციები, რომ ასეთი ყურადღებით შეგვხვდენ.

კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდენ ჩვენი ხელმძღვანელები ასეთ ექსკურსიებს.

წ. არმ. დ. მათიაშვილი.

## ენერგიულად ვმუშაობთ.

მეორე ცალკე საკავ. ასეულის კომ-კავშირის ორგანიზაცია ამჟამად აერთიანებს 30 წევრს. ყველა წევრები ჩაბმულნი არიან სხვა და სხვა წრეებში კულტურულ ფრონტზე სამუშაოთ. სისტემატიურად იმართება კრებები მოხსენებებით. მეცადინეობაც სწარმოებს კვირაში ერთხელ, თითეული წევრი დიდ აქტიობას იჩენს მუშაობაში. ასეულის ორგანიზაცია მიმაგრებულია „სახალხო კავშირი“-ს (нарсвяз) სამოქალაქო ორგანიზაციაზე, ხშირათ ხდება მათთან გაერთიანებული კრებები. ორგანიზაციის ყველა წევრები ითვლებიან ავიოქიმისა და რემედასის წევრებათ. აქაც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ისინი და უპარტიო ახალგაზრდობასაც აბამენ ამ უჯრედებში სამუშაოდ.

ასეულის კომ-უჯრედი დიდ დახმარებას გვიწევს ყოველივე საქმის მოგვარებაში, ნაწილი ჩვენი უჯრედისა უკვე გადირიცხა კომ-პარტიაში. უპარტიო ახალგაზრდობას უხსნით და უმარტივებთ კომ-კავშირის წესდებას, რის გამო მრავალი მოეშურებიან ჩვენი რიგებისაკენ.

სამხკორი მ. კაპანაძე

## სამაგალითო მეთაური.

მე-5 ე ლეგიონი.

ამ დღეებში სამსახურის ახალ ადგილზედ გაემგზავრა ტყვიამფრქვეველი ასეულის მეთაური ამხ. ქირია, რომელიც დანიშნულია იმავე თანამდებობაზედ მე-2 ტყვიამფრქვევ ასეულში. ამხ. ქირია სამაგალითო მეთაური არის, რომლის დათმობა ძნელი არის ჩვენთვის, იგი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ამავე დროს ანგარიშს უწევდა თითეულ წითელ არმიელის მდგომარეობას და ყველას თანაგრძნობით მეპყრობოდა. ვემშვიდობებით რა ამხ. ასეულის მეთაურს, უსურვებთ წინანდებული წარმატებათ და ერთგულად გაეგრძელებიოს თავისი სამსახური და ისეთივე სიყვარული დაემსახურებიოს ახალ ადგილზე, როგორიც აქვს დამსახურებული ჩვენთან.

1-ლ ტყვიამფრქვევის ასეულის წითელ ლაშქრელები.

## მოწერილი წერილებიდან.

მე-4 ლეგიონის სამნეო ასეულში გვაქვს კარგად მოწყობილი ლენინის კუთხე. ასეულის პოლიტხელი იმავე დროს კუთხის ხელმძღვანელად ითვლება და ენერგიულად მუშაობს. ხშირად ატარებს საუბრებს სხვა და სხვა თემებზე. სწარმოებს ხმამაღალი კითხვა. წითელარმიელები გულმოდგინეთ უსმენენ და თანდათან ძლიერდება მათში ცოდნის შეძენის სურვილი.

წ. არმ. ჩიტაიშვილი.

—

მე-3 ლეგიონში, სამი კვირა იქნება მას შემდეგ, რაც მოეწყო მშვენიერი სასადილო წითელარმიელებისათვის. წინად არ გვქონდა მაგიდებზე გადასაფარებლები და არც ჯამები. სჭამდენ ქვაბუნებიდან, რამოდენიმე კაცი ერთად. ლეგიონის მესვეურებმა გვიხსნეს ამ უხერხულობიდან. ამჟამად თითეული წითელარმიელისათვის არის ცალკე ჯამი და სადილობაც წესიერად ხდება. წესრიგი საუკეთესოა სასადილოში.

სამხკორი ბულბული.

—

ცხენოსან ლეგიონში ხშირად გვაჩვენებენ კინო-სურათებს. წითელარმიელების გარდა სურათებს ესწრებიან კერძო მოქალაქენიც. კარგი იქნება კლუბის გამგეობა უფრო შეურჩევდეს სურათებს და რაც უმთავრესია გვაჩვენონ ქართული კინოს სურათები.

სამხკორი პ. კახიძე.

—

1-ლ საკავშირო ასეულის მეთაურები კარგ განწყობილებაში არიან წითელარმიელებთან. ხშირად ნახავთ მათ, რომ თავისუფალ საათებში მიდიან წითელარმიელებთან და ესაუბრებიან სხვა და სხვა საკითხებზე. დიდ ყურადღებას აქცევენ მათი განვითარების საქმეს. დისციპლინა საუცხოვოა ნაწილში. წითელარმიელების და მეთაურების ასე შეთანხმებული მუშაობა კარგ შედეგებს მოგვცემს.

სამხკორი პ. ხომასურიძე.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### ჩვენც გვესაჭიროება მკერავი

1-ლ საკავშირო ასეულში არა გვყავს მკერავი. ყველა ნაწილებში არსებობენ ასეთები და დიდი შეღავათი ეძლევათ წითელ არმიელებს. ასეულის საერთო კრებაზე დადგენილი იქნა ერთი მკერავის მოყვანა, მაგრამ აქამდე არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ. წითელ არმიელები იძულებული არიან სამი და ოთხი აბაზი აძლიონ კერძო მკერავებს, გახეული ტანსაცმელის შეკეთებისათვის, რაც აუტანელ სიმძიმეთ აწვება წითელ არმიელის ცარიელ ჯიბეს. დროა მოგვარდეს ეს საქმე.

სამხკორი ვ. ნ—ო.

### გაგვარეცხინეთ თეთრეულები.

ხუთი თვე გადის მას შემდეგ, რაც პირველ ლეგიონის ნაწილებში დაგვარიგეს კურს დამთავრებული უმცროსი მეთაურები. დაგვირიგეს თეთრეული ქვეშაგებისათვის, მაგრამ ამ ხუთი თვის განმავლობაში ერთხელაც არ გარეცხილან. რამოდენიმეჯერ მივმართეთ ამის შესახებ სადაც ჯერ არს, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა. საჭიროა ლეგიონის სანიტარულ ნაწილმა მაინც მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და სთქვას თავისი სიტყვა.

სამხკორი ბარათაძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი უჯრედის მუშაობა.

მე-4 ლეგიონის 1-ლი კომუჯრედი ხშირად ატარებს ლენინთახებში საუბრებს, ხმა მაღალ კითხვას, პოლიტ-ლოტორიებს და სხვა. პარტ-ამხანაგები ყველანი დატვირთული არიან უჯრედის მდივნის მიერ მუშაობით, იზრდება პარტ-ამხანაგების აქტივობა, ხდება გადარიცხვა კომკავშირიდან კარგი ამხანაგების პარტიის კანდიდატებათ; უჯრედი ხელმძღვანელობს დამხმარე ჯგუფს.

უჯრედს აქვს აღებული შეფობა სოფელ ტინის ხიდზე, რომელსაც დიდ დახმარებას უწევს ლიტერატურით და სხვა.

2 აპრილს შესდგა კომუჯრედის კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობაზე ამხ. გაბუნიამ.

ამ რიგად ჩვენ უჯრედში მაღლე დამთავრდება მე-14-ტე პარტ-ყრილობის ირგვლივ მოხსენებების და რეზოლიუციების შესწავლა.

სამხკორი ალ. ნა—ლი.

## 1-ლი მესანგრე ასეულის ახკომკავ. უჯრედი.

ჩვენს ასეულში კომკავშირის მუშაობა უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამოცოცხლდა. დანიშნულ დროზე სისტემატიურად იმართება კრებები, დგება თვიური გეგმა და კეთდება სხვა და სხვა მოხსენებები, როგორც სამხედრო, აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციასთან შეერთებულად. გვაქვს შეფობა აღებული ორპირის თემზე, სადაც დაუღალავ მუშაობას ვაწარმოებთ და ამით ვეცნობით ერთი მეორის ყოფა-ცხოვრებას.

30 მარტს შესდგა გაერთიანებული კრება სამოქალაქო ორგანიზაციასთან ერთად.

30 მარტს კრებაზე უჯრედმა გადასწყვიტა რომ საშეფო სოფელს მოუწყოთ სამკითხველო და აგრეთვე მივაწოდოთ კომ-კავშირის ლიტერატურა.

შემდეგ კრებამ განიხილა კომკავშირში შესვლის მსურველთა განცხადებები.

წ. ა. სხიო.

### როდის მოეღება ბოლო?

1-ლი ლეგიონის სამზარეულოში დაუშვებელ მოვლენას აქვს ადგილი. წითელ არმიელებს არ ეძლევათ საერთო განაწესის თანახმად ხორცი. სადილის დროს ხშირად ;უხორცოთაც კი ხვდება კერძის ჭამა ზოგიერთებს. ზოგიერთი ამხანაგები ხელზე ღებულობენ ულუფას, ყიდიან და სადილებს კი ისევ საერთო ქვაბიდან ღებულობენ. ასე იქცევიან აგრეთვე პურის საცხობში მოწყობილი ამხანაგები. ყველაფერი ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს წითელ არმიელებში.

წ. არმ. მოლოდინი.

# უცხ. არმიებში

### როგორ ასწავლიან ესტონიის ჯარის კაცს.

არმიის სამხედრო საქმეში საერთო მომზადების დროს მეთაურების მთელი ყურადღება იქეთკენ არის მიქცეული, რომ თითეული ცალკე ჯარის კაცი შესაფერად იყოს მომზადებული სამხედრო საქმეში; ის უნდა იყოს მოქნილი, მოძრავი და სამაგალითო მსროლელი, შეეძლოს ყოველგვარი იარაღების თავისუფლად ხმარება და ყოველი სახის ადგილმდებარეობის შეგნება. ყველაფერი ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება ესტონეთის არმიაში თუ მიმართავენ „როზგის“ დისციპლინას და ეს ასედაც ხდება. მეთაურების მოპყრობა ჯარისკაცებისადმი პირდაპირ მხეცურია, ცემა არმიაში ჩვეულებრივი მოვლენაა. ათეულის თავიდან დაწყებული ზევით ყველა მეთაურები სცემენ ჯარისკაცებს.

ისეთი ჯარის კაცის ცემა, რომელიც გამოსულია გლეხურ ან მუშურ წრეებიდან ესტონეთის არმიაში არ ითვლება დანაშაულად. ამიტომ არის რომ ყველა იცემება.

პროლეტარს არ შეუძლია მიიღოს „უნტეროფიცრობაც“ კი, რაც უნდა სამაგალითო მხედარი იქნეს. არმიის მთელი უმცროს მეთაურთა შემადგენლობა თითქმის „კულაკებისა“ და მდიდრების შვილებისაგან შესდგება.

საერთოდ ესტონეთის ჯარის კაცები ძლიერ ცუდათ ცხოვრობენ. მთელ დროს ისინი ყაზარმაში ატარებენ, საიდანაც მათ თითქმის არასდროსარ უშვებენ.

ამ ზომებს ესტონეთის გენერლები მიმართავენ იმისათვის, რომ ეშინიათ—ჯარის კაცები არ დაუახლოვდენ მუშებს და არ გაიტაცოს ისინი რევოლიუციონურად განწყობილ პროლეტარიატმა.

ყოველი სამი თვის განმავლობაში არმიის ნაწილების თითეული მეთაური ვალდებულია წაიყენოს თავისი უფროსის წინაშე მოხსენება თავისი ნაწილის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ე. ი. შეუძლია თუ არა მთავრობას იმედი ექნეს ამა თუ იმ ნაწილის და სრულიად დაეყრდნოს მას, როგორც საიმედო ნაწილს.

მიუხედავად ასეთი ზომებისა, კომუნისტური პროპაგანდა მაინც თანდათან უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ესტონეთის არმიის ნაწილების რიგებში.

# ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად მე-6-სე ლეგ. მე-5-თე ასეულის გამოწვევისა, მე-5-თე ქარ. მსრ. ლეგ. მე-8-ვე ასეულის ცვალებადი შემადგენლობის წითელ არმიელები უწერთ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ჟურნალ „სამხედრო აზრს“, გაზ. „წითელ არმიელს“ (3) სამი თვით და ჟურნალ „სამხედრო აზრს“ ორ—ორი თვით შემდეგ თემების სამკითხველოებს: 1) სუფსის თემის სამკითხველოს, 2) სოფელ ორმეთის სამკითხველოს, 3) სამხთოს თემის სამკითხველოს, 4) ხვარბეთის თემის სამკითხველოს და ვიწვევთ შემდეგ ლეგიონების ასეულებს: 1-ლი ლეგიონის 8 ასეულს, 2 ლეგ. 8 ასეულს 3 ლეგ. 8 ასეულს და ლეგ. შკოლას, მე-4-ხე ქარ. ლეგიონის მე-8 ასეულს. მე-5-თე ქართულ ლეგიონის პი-1-ლ ასეულს, მე-2 ასეულის, მე-3 ტყ. მფ. ასეულს და ლეგ—სკოლას; მე-6-სე ლეგიონის მე-8 ასეულს და მე-6 ლეგ. მე-5 ასეულს.

იმედია რომ, ზემოდასახელებული ნაწილები მიბაძავენ მე-5 ლეგიონის მე-8 ასეულის ცვალებადელებს და გამოუწერენ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას თავიანთ საყვარელ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ჟურნალ „სამხედრო აზრს“.

ცვალებადელების დავალებით ას. მეთ. ს. ჩხეიძე.

# ამბები სოფლებიდან.

ლეჩხუმის აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას აირჩიოს ადგილი მაზრაში კრამიტის ქარხნის ასაგებათ.

**გლეხების მოწყობა.** რაჭის აღმასკომმა დაასახლა და მოაწყო მეწყრისაგან დაზარალებული 15 გლეხი.

**ტელეფონი სოფლად.** თელავის აღმასკომმა გაიყვანა ტელეფონი სოფ. ნაფარეულში.

# ახალი ამბები.

წითელ არმიელთა ოჯახებისათვის და ომის და შრომის ინვალიდებისათვის წარსული წლის განმავლობაში სოც. უზრუნველყოფის ორგანოებს დაურიგებიათ დახმარებათ და პენსიებათ 109 ათასი მანეთი.

**მუშტაიდის ბაღი** თბილისის აღმასკომის დადგენილებით გამოცხადებულია საზოგადო სარგებლობის ბაღათ, რომელიც ღია იქნება საღამოს 7 საათამდე.

**ფუნიკულიორზე** მოძრაობა დაიწყება 1-ლ მაისიდან. ასვლა ჩამოსვლა ეღირება 30 კაპ.

**საქვირაო ბაზარი.** თბილ. აღმასკომის დადგენილებით საკვირაო ბაზარი ვანქის ქუჩიდან გადატანილია მტკვრის სანაპირო მოედანზე.

**თბილისის რკ. გზის** სადგურის განტვირთვის მიზნით, საქონლის სადგური გადატანილია ნავთლუღში.

**ზაჰესის საჭიროებისათვის** ტფილისის აღმასკომმა მიიღო 50 ათასი ფუთი ცემენტი.

**თეთრი თუნუქი.** ბათომის ბიდონის (თუნუქის ჭურჭლების) ქარხანამ მიიღო საზღვარგარეთიდან 50 ათასი ფუთი თუნუქი.

**რესპუბლიკის საინვალიდო** სახლებში ამჟამად მოთავსებულია სახელმწიფოს ხარჯზე 249 დასახიჩრებული. მათი შენახვა სახელმწიფოს უჯდება 80 ათასი მანეთი წლიურათ.

**გლეხკომების** მუშაობის გასაცნობათ და მათი საქმიანობის გამოსაცხოველებლათ ქუთაისის მაზრაში გაემგზავრა სოც. უზრ. სახალხო კომისარი.

**კონტრაბანდის** შემოტანასთან საბრძოლველათ საქ. ცაკთან დაარსდა კომისია, რომელიც გამოიმუშავებს წესებს კონტრაბანდისტებისათვის ფულადი ჯარიმის იძულებითი სამუშაოებით და ან დაპატიმრებით შეცვლის შესახებ.

**მიწის ჩამორთმევა.** საქ. ცაკმა დააკმაყოფილა თბილ. აღმასკომის შუამდგომლობა მცხეთაში საეკლესიო ადგილების გლეხებისათვის გადაცემის შესახებ, რომლებიც უნდა გადაესახლონ ძველი სამოსახლოებიდან ზაჰესის ამუშავების გამო.

## პასუხი შეკითხვებზე

— საგინაშვილს. თითეულ კვ. არშინში ბინის ქირად უნდა იხადოთ ხუთ ნახევარი კაპიკი. საერთო ჯამს უნდა გამოაკლოთ 25 პროც., როგორც სამხედრო მსახური და ასე უნდა აძლიოთ სახლის პატრონს.

— ხახუტაშვილს. წახვალთ ა. წ. შემოდგომაზე.

— ხურციას. ფულით დახმარება არ მოგეცემათ.

— მეგაზათეს. არაფერი მოგეცემათ.

— ივლიტაშვილს. მიმართეთ სამნეო ნაწილის უფროსს.

— მამესწარაშვილს. გერგებათ.

— წამალაშვილს. მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლა შეიძლება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

— კაზაევს. შეგიძლიათ დივიზიის უფროსის ნებართვით.

— მასვე. მიმართეთ თქვენს კომუჯრედს.

— ი. კ—ვს. კადრიდან ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით.

# მაუდის ქარხანა ტფილისში.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭომ გადასწყვიტა ტფილისშიააგოს მაუდის საქსოვი ქარხანა. საბჭოს განზრახვა აქვს აღნიშნული მაუდის ქარხანა მოაწყოს დიდუბეში, რისთვისაც აღძრული იქნა სათანადო შუამდგომლობა ტფილისის აღმასკომის წინაშე დიდუბეში ქარხნის შენობების აგებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის დათმობის შესახებ.

აღმასკომმა პრინციპიალურათ მიიღო უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო საბჭოს შუამდგომლობა და დაადგინა ქარხნის საჭიროებისათვის დიდუბეში გამოყოს 5 დესეტინ[ა] მიწის ნაკვეთი, რის გამო წ[ა]ნადღება მიეცა საადგილ-მამ[ულო] განყოფილებას შეაჩეროს დიდუბეში თავისუფალ მიწების დარიგება-მოწყობა.

ამნაირათ ახლო მომავალში ტფილისს შეეძინება კიდ[ევ] ერთი ქარხანა, რომლის არს[ე]ბობაში დიდი მოთხოვნილებ[ა] იყო ჩვენში.

— კოკალიშვილს. მუშფაკში რომელიმე ორგანიზაციამ უნდა გაგაგზავნოს.

— ბიკაშვილს. თუ თავისუფალი იქნა ადგილი უნდა მიგიღო[თ] პირველ რიგში, როგორც წ. ა.

— ნ—ძეს. ავადმყოფობის გამო შვებულებაში წასვლის დრო[ს] ტანსაცმელი გეძლევათ (ბრ. № 1609—22 წ.)

— ი—შვილს. კომუნალური ფული არ გერგებათ. (ბრ. № 3[..] 26 წ.)

— დ. ს. არავითარი ისეთი საბუთები თქვენ არ გაქვთ, რო[მ] გაგანთავისუფლონ სამსახურიდან.

— მაროშვილს. ყანის დასამუშავებლად შვებულება არ მოგე[ცემათ]. (ბრ. № 925—25 წ.)

— იუზბაშევს. მიმართეთ შრომის სასამართლოს.

— ეგნატეს. ორი ცხვირ სახოცი.

— №-ს. ფეხსაცმელი ექვს თვეს უნდა ატაროთ.

— ოქროაშვილს. შტატით დადებული ჯამაგირი გეკუთვნი[თ] ღებულობთ სწორად.

# ჩვენი ფოსტა.

**სამხკორებს:** ლალიკოს, შიოლაშვილს, იქ მყოფს, კახიძეს. თქვენი წერილები: „მე-2 ლეგიონი“, „მე-3 ლეგიონის ცხოვრებიდან“, „გაცილებაც ასეთი უნდა“, „კინო სურათი“, არ დაიბეჭდება, ასეთი იყო ჩვენ გაზეთში.

**მ. შიუკაშვილს** (გურჯაანი). ლექსი არ გამოდგა, არ დაიბეჭდება.

**გარეჯირელს.** თქვენი წერილი გადაეგზავნა „ახალი სოფლის“ რედაქციას.

**სამხკორ სფინქს.** თქვენი წერილი „მოგვაქციეთ ყურადღება“ გადაეგზავნა ტერსამმართველოს.

**მთიულიშვილი ალ.** (მე-6 ლეგ.). **და გოზალაშვილი** შალ. (მე-2 ლეგ.). თქვენი წერილები გამოდგებიან ადგილობრივ კედლის გაზეთისთვის.

**დ. გოგილაძეს** (მე-2 არტლეგ.), **ალ. ნა—ლი-ს** (მე-4 ლეგ.) **წით. არმ. გოგლიძეს** (მე-2 დივ. საკავშირო ასეული) თქვენი წერილები მივიღეთ დაგვიანებით, არ დაიბეჭდება.

**ა. ბაშელს** (ცხენ. ლეგ.), **კურსანტ ჟვანიას** (მე-5 ლეგ. სკოლა), **ლონგინოზ ხოკერიას** (მე-3 ლეგიონი), **კოჭლამაზაშვილს** (მე-2 ლეგ. 8 ას.), **ბოზია ჭალელს** (მე-3 ლეგ.). თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

**ალავიძეს კ. და გავაშელიშვილს არს.** წერილი არ დაიბეჭდება, არ გამოდგა.

**დ. ჭ[ა]ნკვეტაძეს** (თელავი). თქვენ მიერ გადმოგზავნილ სია[...] დან არ ეგზავნება გაზეთი ს. ვარდისუბანში ვ. ამონა[...] შვილს, ვინაიდან არ აღმოჩნდა იგი სოფელში. გვაცნო[...] ბეთ სწორი მისამართი.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კ. პ. კანდიდატად გადარიცხვის შესახებ, კ. კ. წევრს მე-6 ქ. მ. ლ. მოვლენილ ამხ. შე[...]გელია ვასილს. კომ-უჯრედი გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რა[...]იმე საწინააღმდეგო აღნიშნული ამხ. კ. პ. კ. მიღებაზე, გვ[ა]ცნობოთ სიტყვიერად ან წერილობით ერთი კვირის განმა[...]ლობაში. ხელ მოუწერელი ბარათები არ მიიღება.

კომ-უჯრედის მდ. მ. სიხარულიძე.

მე-5 ლეგიონის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კანდიდატობიდან კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: ბარნაბ ნიკოლოზისძე დუდუჩავა (ოცმეთაური), ვარლამ ერმილესძე გელოვანს (ოცმეთაური), ვლადიმერ ნესტორისძე ამირანაშვილს (ათმეთაური), ონიფა[...]ტე პიმენისძე გველესიანს და ალექსანდრე ბეგლარისძე შან[...]ძეს.

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო ამხანაგების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ამავე კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

უჯრ. მდივანი ნ. ჩაჩანიძე.